1073/4-2/22 2 09022022

1073/4-2/22
09-02-2022

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს,

ბატონ ერეკლე ღვინიანიძეს

ბატონო ერეკლე,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1) რამდენი საქმეა მიმდინარე აღსრულების ეროვნული ბიუროში ალიმენტის გადახდევინების შესახებ?
2) რამდენია ალიმენტის გადახდევინების შესახებ შემოსული ახალი საქმეების რაოდენობა 2015-2021 წლებში? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ შესაბამისი წლების მითითებით.
3) რამდენს შეადგენს ყოველთვიური გასაცემლის ჯამური ოდენობა ალიმენტის გადახდევინების შესახებ საქმეებში? გთხოვთ, მოგვაწოდოთ უკანასკნელი რამდენიმე თვის მონაცემი.
4) რამდენს შეადგენს გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობა ალიმენტის გადახდევინების შესახებ აღსრულების ეროვნულ ბიუროში ყოველთვიურად შემოსულ ახალ საქმეებზე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ უკანასკნელი რამდენიმე თვის მონაცემი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010168347999322

№2012

17 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2022 წლის 09 თებერვლის №1073/4-2/22 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ, 2022 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით, სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ მიმდინარეა 8833 ალიმენტის საქმე, ამათგან პასიურია 1211 საქმე.

წარმოგიდგენთ ალიმენტის გადახდევინების თაობაზე შემოსული ახალი საქმეების რაოდენობას 2015-2021 წლების მიხედვით:

– 2015 წ. – 1209;

– 2016 წ. – 1108;

– 2017 წ. – 1044;

– 2018 წ. – 885;

– 2019 წ. – 860;

– 2020 წ. – 523;

– 2021 წ. – 514.

ამასთან, გაცნობებთ, რომ უკანასკნელი 6 თვის მონაცემებით (აგვისტო-იანვარი), ალიმენტის გადახდევინების შესახებ საქმეებში ყოველთვიური გასაცემლის ჯამური ოდენობა შეადგენს 430141.52 ლარს, ხოლო ამავე პერიოდის მონაცემებით, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ ყოველთვიურად შემოსულ ახალ საქმეებზე გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობა შეადგენს 85342.12 ლარს.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

მინისტრი

რატი ბრეგაძე